22/1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. სექტემბრის 10 № 19 ნაწილი პირველი

შინაარსი:

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

144. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-4, 5, 9, 12, 16, 21, 23, 24, 26 და 35 მუხლების შეცვლისა, მე-17 მუხლის გაუქმებისა და ამავე დებულებისათვის 43[1] მუხლის დამატების შესახებ.

145. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ.

146. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საერთო დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების შესახებ.

147. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებულ უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების დამტკიცების შესახებ.

148. საქართველოს სსრ კოდექსების იმ ცვლილებების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

მრეწველობა

149. საქართველოს სსრ სამთო კოდექსის დამტკიცების შესახებ.

ტრანსპორტი

150. საგზაო მშენებლობის შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

151. ტფილისის საქალაქო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

ფინანსები.

152. საქართველოს სსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

153. 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

154. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

144. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულების მე-4, 5, 9, 12, 16, 21, 23, 24, 26 და 35 მუხლების შეცვლისა, მე-17 მუხლის გაუქმებისა და ამავე დებულებისათვის 43[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 12-ის დადგენილებით დამტკიცებულ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულებაში (სრულიად საქართველოს ცენ. აღმ. კ-ტისა და საქ. სსრ სახ. კ-თა საბჭოს „მოამბე“ 1925 წ. 1-2 №-ი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

I.

მე-4, 5, 9, 12, 16, 21, 23, 24, 26 და 35 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს მოიწვევს მისი პრეზიდიუმი არა ნაკლებ სამჯერისა წელიწადში“.

„5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიას მოიწვევს პრეზიდიუმი მისი დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით ან ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნით“.

„9. საკითხებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეიტანენ მისი პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები და აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები“.

„12. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 24 წევრის შედგენილობით, მათ შორის თავმჯდომარეს, მდივანს და პრეზიდიუმის წევრების 5 კანდიდატს, და, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 34 მუხლის თანახმად, მოაწყობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა, მის მოადგილეთა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა შედგენილობით“.

„16. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი გამოსცემს დეკრეტებს, დადგენილებებს და განკარგულებებს, განიხილავს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათი პრეზიდიუმებისა და ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ შეტანილი დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტებს".

„21. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ განაპროტესტონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებანი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაში".

„23. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ან მათი პრეზიდიუმის მიერ შეტანილ საკითხებს განიხილავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი უშუალოდ ან გადასცემს წინასწარი განხილვისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ან და წინასწარი დასკვნისათვის დაინტერესებულ უწყებებს".

„24. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-20 და 39 მუხლისა და ა/კსფსრ კონსტიტუციის 54 მუხლის თანახმად, ეკუთვნის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ამნისტიის უფლება და აგრეთვე იმ მოქალაქეთა შეწყალებისა და პოლიტიკური უფლებების რეაბილიტაციის უფლება, რომელნიც მსჯავრდადებულ არიან საქართველოს სსრ სასამართლო და საადმინისტრაციო ორგანოების მიერ".

„26. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრება სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიანთ სსრკ-ისა და ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრებს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების წევრებს და აგრეთვე სხვა პირებს, რომელთაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ კანონით ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით".

„35. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს სათათბირო ხმის უფლება აქვთ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ყველა სხდომაზე და აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებების ყველა სხდომაზე".

(შენიშვნა დატოვებულ იქნეს ძალაში).

II.

დაემატოს 43¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„43¹. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა კანდიდატებს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ (საკანდიდატო სიის რიგობის მიხედვით) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტის წევრთა სათანადო რიცხვის არყოფნის დროს და სათათბირო ხმის უფლება—ყველა სხვა შემთხვევაში.

კანდიდატებზე ვრცელდება ყველა ის უფლება და მოვალეობა, რაც ამა დებულების 32-43 მუხლით დაწესებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისათვის".

III.

მე-17 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.

ტფილისი.

---

145. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულება ახალი რედაქციით.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 12-ის თარიღისა და მე-2 №-ის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულება (სრ. საქ. ცენ. აღმ. კ-ტისა და საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს „მოამბე" 1925 წ. 1-2 №-ი).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოაწყობს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი რესპუბლიკის საქმეთა საერთო მმართველობისათვის. სახალხო კომისართა საბჭო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეადგენენ:

ა) თავმჯდომარე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თავმჯდომარის მოადგილენი;

გ) სახალხო კომისრები: მსუბუქი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა, მომარაგებისა, კომუნალური მეურნეობისა, ფინანსთა, შრომისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფისა;

დ) თავმჯდომარენი: სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, უზენაესი სასამართლოსი და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსი.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა, ცენტრალური სამმართველოებისა და დაწესებულებების მოქმედებას;

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს დეკრეტები და დადგენილებები სახელმწიფო მმართველობის საკითხების შესახებ საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დებულებით გათვალისწინებულ ფარგლებში;

გ) განიხილოს წინასწარ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და მის პრეზიდიუმში დასამტკიცებლად შესატანი დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები;

დ) განიხილოს საკითხები, რასაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გადასცენ;

ე) განიხილოს და შეიტანოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში საქართველოს სსრ ბიუჯეტი;

ვ) განიხილოს წინასწარ, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში შესატანად, საკითხი ახალ ადგილობრივ გადასახადთა შემოღებისა და არსებულთა გადიდების შესახებ;

ზ) განიხილოს ანგარიშები საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და აგრეთვე ცენტრალური სამმართველოებისა და დაწესებულებების მოქმედების შესახებ;

თ) გადასწყვიტოს შეუთანხმებლობა საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს შორის და აგრეთვე ცენტრალურ სამმართველოებსა და დაწესებულებებს შორის;

ი) განიხილოს პროტესტები და საჩივრები, რაც შეტანილ იქნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს და საადმინისტრაციო საგანკარგულებო ფუნქციების მქონე კომისიების დადგენილებებზე და აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა და ცენტრალური სამმართველოებისა და დაწესებულებების უფროსთა მოქმედებაზე;

კ) შეიტანოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში წარდგინება სახალხო კომისრების მოადგილეთა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნის შესახებ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნოს ეკონომიური საბჭოს წევრები, სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრები და სხვა თანამდებობის პირნი—საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებს შეუძლიანთ დაესწრონენ სათათბირო ხმის უფლებით:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა მოადგილენი—სახალხო კომისრების ყოფნის დროს, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორი, საქართველოს სსრ მთავარი არბიტრი, სსრკ-ის სახალხო კომისარიატებისა და მათი ადგილობრივი სამმართველოების რწმუნებულნი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან განწესებულნი, საქართველოს სსრ მილიციის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსნი, ტფილისის საქალაქო საბჭოს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ცენტრალური კავშირის გამგეობისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკანური კოოპერატიული კავშირების თავმჯდომარენი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი;

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მდივანი და წევრნი და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარენი;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური რესპუბლიკანური და საოლქო მმართველობის ორგანოების მეთაურნი და მათი მოადგილენი—მათი გამგებლობის საკითხების განხილვის დროს, რაც შეტანილ იქნება სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ;

დ) სხვა პირნი, რომელთაც აღნიშნული უფლება მინიჭებული აქვთ სპეციალური კანონებით ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებით.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად საკითხების შეტანის უფლება, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გარდა, აქვთ აგრეთვე:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეთ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წევრებს;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და მათ პრეზიდიუმებს;

დ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მუდმივ კომისიებს;

ე) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებზე სათათბირო ხმის უფლების მქონე პირთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ყველა წინადადება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანება სახალხო კომისართა ან უწყებებისა და დაწესებულებების იმ ხელმძღვანელთა ხელმოწერით, რომელნიც ჩამოთვლილ არიან ამა დებულების მე-5 მუხლში, ან და მათ მოადგილეთა ხელმოწერით.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ, ვიდრე გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე წევრთა ნახევარი რიცხვი.

8. ყველა თავის დადგენილებას და გადაწყვეტილებას სახალხო კომისართა საბჭო აცნობებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს სამი დღისა ამ დადგენილების თუ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დადგენილება მის თვითეულ წევრს შეუძლიან განაპროტესტოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში. პროტესტი ვერ შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებობს საქმეთა მმართველობა, რომლის მოქმედებაც განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით.

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად შესატანი საკითხების მომზადებისა და განხილვის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული განაწესით, რასაც ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მიმართვას ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და უწყებისადმი აწარმოებენ თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

13. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობიან ეკონომიური საბჭო, სახელმწიფო საგეგმო კომისია, აღსრულების შემმოწმებელი კომისია და სხვა კომისიები, კომიტეტები, საბჭოები და სამმართველოები, რომელნიც მოქმედობენ განსაკუთრებული დებულებების თანახმად.

---

146. დადგენილება ს.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულება ახალი რედაქციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 12-ის თარიღისა და მე-2 №-ის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულება (სრ. საქ. ცენ. აღმ. კ-ტისა და საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს „მოამბე" 1925 წ. 1-2 №-ი).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.
ტფილისი.

საერთო დებულება

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების შესახებ.

თავი I.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატები.

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 34 და 48 მუხლების თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აარსებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გამგებლობის ფარგალში შემავალ სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ დარგთა უშუალო ხელმძღვანელობისათვის შემდეგ სახალხო კომისარიატებს:

1) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს,
2) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს,
3) მომარაგების სახალხო კომისარიატს,
4) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს,
5) ფინანსთა სახალხო კომისარიატს,
6) შრომის სახალხო კომისარიატს,
7) მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს,
8) განათლების სახალხო კომისარიატს,
9) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს,
10) სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

2. საქართველოს სახალხო კომისარიატები უშუალოდ ექვემდებარებიან სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა, მის პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და მოქმედობენ ამა დებულებისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული მათ შესახები დებულებების საფუძვლებზე; თავიანთი მოქმედებისათვის სახალხო კომისარიატები იხელმძღვანელებენ სსრკ-ის საბჭოთა ყრილობებისა, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს, ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობებისა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტისა, ა/კ სკსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბ-ჭოს, სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობებისა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს დადგენილებებს.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატები: მსუბუქი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა, მომარაგებისა, კომუნალური მეურნეობისა, ფინანსთა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ექვემდებარებიან რა უშუალოდ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ანხორციელებენ თავიანთი მოქმედებით აგრეთვე სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის სათანადო თანამოსახელე სახალხო კომისარიატების დირექტივებს.

4. სახალხო კომისარიატებს დაეკისრებათ:

ა) გაუწიონ საერთო ხელმძღვანელობა ყველა მათ ქვემდებარე დაწესებულებას და ზედამხედველობა—კანონებისა და სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ უმაღლესი ორგანოების განკარგულებების აღსრულების სფეროში; მიიღონ, არსებული წესისამებრ, სათანადო ღონისძიებანი არაწესიერი მოქმედების დაუყოვნებლივ თავიდან აცილებისათვის;

ბ) შეიმუშაონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დავალებით და აგრეთვე თავიანთი ინიციატივითაც, დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები და შეიტანონ ეს პროექტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში ან ეკონომიურ საბჭოში—კუთვნილებისამებრ;

გ) გამოსცენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილებები, ინსტრუქციები, ცირკულარები, ბრძანებები და სხვა მისთ.;

დ) შეიმუშაონ სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვები და შტატები და შეიტანონ დასამტკიცებლად არსებული წესისამებრ;

ე) გადასწყვიტონ მათ ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთა მოქმედებაზე და განკარგულებაზე შეტანილი საჩივრები და წარმართონ ეს საჩივრები კუთვნილებისამებრ, უკეთუ საჩივარი ეხება ისეთ საგანს, რაც სახალხო კომისარიატის კომპეტენციის ფარგალს სცილდება.

5. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლიან შეაჩეროს, შესცვალოს ან გააუქმოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის განკარგულება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო კომისარიატის განკარგულება, რაც შემდგომ უნდა მოახსენოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—კუთვნილისებამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ამის გარდა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა, მომარაგებისა, კომუნალური მეურნეობისა, ფინანსთა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების განკარგულება, რაც არ ემყარება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმის, ან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიწერილობას, შეუძლიანთ შეაჩერონ, შესცვალონ ან გააუქმონ სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის თანამოსახელე სახალხო კომისარიატებს, უკეთუ ეს განკარგულება ეწინააღმდეგება სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობას ან მიცემულ დირექტივებს.

7. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ან მათ პრეზიდიუმებს, შეუძლიანთ შეაჩერონ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის განკარგულება, უკეთუ ეს განკარგულება აშკარად არ შეესაბამება მომქმედ კანონმდებლობას.

განკარგულების შეჩერებას ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი პრეზიდიუმი დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატს.

8. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს უფლება აქვთ შეაჩერონ თავიანთი პასუხისმგებლობით საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების განკარგულებათა განხორციელება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. განკარგულების შეჩერებას ხელისუფლების აღნიშნული ორგანოები დაუყოვნებლივ აცნობებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სათანადო სახალხო კომისარიატს.

9. საქართველოს სსრ მომარაგებისა, კომუნალური მეურნეობისა, ფინანსთა, შრომისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები განაგებენ მათთვის მინდობილ სახელმწიფო მმართველობის დარგს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში აღნიშნულ სახალხო კომისარიატებს ჰყავთ თავიანთი რწმუნებულნი, რომელნიც მათ უშუალოდ ექვემდებარებიან.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ავტონომიურ რესპუბლიკასა და ავტონომიურ ოლქში (მე-9 მუხ., 2 ნაწ.) დაასახელებს სახალხო კომისარიატი უშუალოდ ან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. ყველა დასახელებული კანდიდატურის შესახებ სავალდებულოა თავისი აზრი გამოსთქვას სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელსაც უფლება აქვს განადგინოს დასანიშნი კანდიდატი.

შენიშვნა. უკეთუ დანიშნულ იქნებიან სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა მოადგილენი, ისინი დამტკიცებულ უნდა იქნენ იმავე წესით, როგორც თვით რწმუნებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი (მე-9 მუხ. 2 ნაწ.) ესწრებიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმთა სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი ინფორმაციას აწვდიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და მათ პრეზიდიუმებს სახალხო კომისარიატების მოქმედების შესახებ და თავიანთი მოქმედების ანგარიშს აბარებენ, როგორც საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატს, ისე სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

12. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, განაგებენ რა სახელმწიფო მმართველობის გაერთიანებულ დარგებს, თავიანთ ამოცანებს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ანხორციელებენ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მრეწველობისა და მიწათმოქმედების ხაზით მოწყობილი ადგილობრივი რესპუბლიკანური და საოლქო ორგანოების მეშვეობით.

13. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მრეწველობისა და მიწათმოქმედების რესპუბლიკანური და საოლქო ორგანოების მიმართ (მე-12 მუხ.) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები:

ა) აძლევენ მათ დირექტივებსა და დავალებებს და თვალყურს ადევნებენ ამ დირექტივებისა და დავალებების აღსრულებას;

ბ) აჩერებენ, სცვლიან და აუქმებენ იმ განკარგულებებს, რაც ეწინააღმდეგება სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობას ან მიცემულ დირექტივებს, რასაც იმავე დროს აცნობებენ სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, ხოლო უკეთუ აღნიშნული განკარგულება ემყარება უწყებული ავტონომიური რესპუბლიკის თუ ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირდაპირ მიწერილობას, შეიტანენ პროტესტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში;

გ) ამყარებენ ანგარიშგების წესსა და ფორმას;

დ) ათანხმებენ, არსებული წესისამებრ, როგორც აღნიშნული ორგანოების, ისე მათი ადგილობრივი ორგანიზაციების მოწყობის საფუძვლებს;

ე) ამუშავებენ სამეურნეო მოქმედების გეგმებს;

ვ) განაგებენ, არსებული წესისამებრ, სახელმწიფო მმართველობის უწყებული დარგის რესპუბლიკანურ ფონდებს.

14. საქართველოს სსრ განათლებისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები, განაგებენ რა საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის სათანადო დარგებს იმ ტერიტორიის ფარგლებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც არ შედის ავტონომიურ შენაერთებში, ავრცელებენ თავიანთ ფუნქციებს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის აღნიშნული დარგების საერთო დაგეგმვის სფეროში და იმ საკითხების სფეროში, რომელთა რეგულირებაც მათ მიერ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა თუ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებებით.

თ ა ვ ი II.

საქართველოს სსრ სახალხო კომისრები.

15. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას სახალხო კომისარი, რომელსაც დანიშნავს და უკანვე გაიწვევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი; სახალხო კომისარი ხელმძღვანელობას უწევს და განაგებს სახალხო კომისარიატს და აგრეთვე კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათ და პირთ.

16. სახალხო კომისარს უფლება აქვს მიიღოს ერთპიროვნად გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს შეადგენს, და უნდა აცნობოს ეს გადაწყვეტილება კოლეგიას, უკეთუ იგი სახალხო კომისარიატში დაარსებულია.

კერძოდ, სახალხო კომისარს ეკუთვნის ერთპიროვნული უფლება:

ა) განსაზღვროს იმ საქმეთა ფარგალი, რაც შეადგენს თვითეული მისი მოადგილისა და კოლეგიის წევრების გამგებლობის საგანს;

ბ) დანიშნოს, გადაიყვან-გადმოიყვანოს და დაითხოვოს, არსებული კანონების შესაბამისად, სახალხო კომისარიატის პირადი შედგენილობა;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთა მოქმედებას;

დ) განკარგოს სახალხო კომისარიატის კრედიტები და დაამტკიცოს ხარჯთაღრიცხვების პროექტები, საამისოდ დადგენილი წესების დაცვით;

ე) განაპროტესტოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე—სათანადო შემთხვევაში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში შესატანად—ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების დადგენილებანი;

ვ) განაპროტესტოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ყველა დადგენილებას, რაც საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის სახელით გამოვა, ყველა წარდგინებას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და აგრეთვე ყველა მიმართვას უმაღლეს სახელმწიფო ორგანოსადმი ხელს მოაწერს სახალხო კომისარი.

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისარნი პასუხისმგებელნი არიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მისი პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

თავი III.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა მოადგილენი.

19. სახალხო კომისრების მოადგილენი უახლოესი თანაშემწენი არიან სახალხო კომისრებისა სახალხო კომისარიატების მმართველობის სფეროში.

20. უკეთუ სახალხო კომისარი სადმე წავიდა ან ავად არის, მის მოვალეობას მოადგილე ასრულებს.

21. სახალხო კომისრის მოადგილე სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაში მონაწილეობას სათათბირო ხმის უფლებით იღებს. უკეთუ სახალხო კომისარი არ იმყოფება, მისი მოადგილე მონაწილეობას გადამწყვეტი ხმის უფლებით მიიღებს.

თავი IV.

საქართველოს სსრ სახალხო კომისრებთან არსებული კოლეგიები.

22. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სახალხო კომისართან, მისივე თავმჯდომარეობით, შეიძლება მოწყობილ იქნეს კოლეგია, რომლის წევრებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. კოლეგიის წევრთა რიცხვს თვითეული სახალხო კომისარიატისათვის განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

23. უკეთუ კოლეგია თანახმა არ არის სახალხო კომისრის მიერ მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა, მას შეუძლიან, გადაწყვეტილების აღსრულების შეუჩერებლად, განასაჩივროს იგი სახალხო კომისართა საბჭოში. ასეთივე უფლება ეკუთვნის კოლეგიის თვითეულ წევრს.

თავი V.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების სტრუქტურა.

24. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების შინაგან სტრუქტურას, უკეთუ იგი გათვალისწინებული არ არის მათი შესახები დებულებებით ან სხვა კანონით, ამყარებს სათანადო სახალხო კომისარი საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

147. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებულ უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 29 მუხ. თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ყველა ის ქვემოდ მოყვანილი დადგენილება და სხვა აქტი, რაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო ამავე კომიტეტის სესიებს შუა დროის განმავლობაში.

სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის დარგში.

1. ზუგდიდის მაზრის იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის, საქმის წარმოებისა და სამართლის წარმოებისათვის მეგრული ენის შემოღების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 1, მუხ. 3).

2. ქალაქის საბჭოების მ/გ. ინსპექციის სექციების დებულების დამტკიცებისა და ქალაქის საბჭოების დებულების შეცვლის შესახებ.

დებულება ქალაქის საბჭოების მ/გ. ინსპექციის სექციების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 1, მუხ. 4).

3. საქართველოს სსრ მ/გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულებისათვის 12[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 2, მუხ. 23).

4. ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 73; № 16, მუხ. 246).

5. სოფლის აღმასრულებელთა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 126).

6. საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების ცვლილებანი (კან. კრ. 1930 წ. № 11, მუხ. 145; № 16, მუხ. 249).

7. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ოლქებისა და მაზრების გაუქმების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 15; მუხ. 230).

8. 1930 წლის აგვისტოს 15-დან ტფილისისა, კახეთისა, ქუთაისისა და გორის ოლქებისა და სენაკის მაზრის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის ამ ნაწილში ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებსა და სარაიონო ორგანოებს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 231).

9. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონის გაუქმების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 232; № 19, მუხ. 287).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. 1930 წ. სექტემბრის 1-დან ახალციხისა, ახალქალაქისა, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრების ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის ამ ნაწილში ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებსა და სარაიონო ორგანოებს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 17, მუხ. 268).

11. ქუთაისისა და ჭრებალოს რაიონების გაუქმების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 19, მუხ. 288).

12. საბჭოთა არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია მ/გ. და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 21, მუხ. 317).

13. იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ.

დებულება იმ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 339; 1931 წ. № 8, მუხ. 76).

14. წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 340).

15. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან აღსრულების შემმოწმებელი კომისიების მოწყობის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 8, მუხ. 73).

16. ყარაიას რაიონის დაარსების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 98).

17. საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 15, მუხ. 167).

18. ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 20, მუხ. 206).

19. დებულება ადმინისტრატიულ გადასახდელთა შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 20, მუხ. 207).

20. დებულება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 20, მუხ. 208).

21. დებულება სასოფლო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 20, მუხ. 209).

22. ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგებლობის დებულებების დამტკიცებასა და სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 20, მუხ. 210).

23. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი წითელი დროშის დაარსების შესახებ იმ საწარმოს დასაჯილდოებლად, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა 6 დირექტივა ამხ. სტალინისა და საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით იმ დამკვრელ მუშათა და საინჟენერო-სატექნიკო დარგში მომუშავეთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით თავი იჩინეს შრომის ფრონტზე (კან. კრ. 1931 წ. № 23, მუხ. 240).

24. საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 23, მუხ. 241).

25. საქართველოს სსრ-ში 45 ახალი სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 1, მუხ. 1).

26. ქ. ზესტაფონში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 2, მუხ. 11).

27. მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებათა შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 2, მუხ. 12).

28. ქ. ზუგდიდში და ოზურგეთში საქალაქო საბჭოების დაარსების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 3, მუხ. 20).

29. ქ. ტფილისის სარაიონო საბჭოების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 5, მუხ. 44).

30. „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის" ორდენის სტატუტის დამტკიცების შესახებ.

სტატუტი „საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის" ორდენისათვის (კან. კრ. 1932 წ. № 7, მუხ. 54).

31. საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 8, მუხ. 65).

32. საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 9, მუხ. 66).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო მშენებლობის საერთო საკითხების დარგში.

33. საავტორო უფლების დებულების ცვლილებანი (კან. კრ. 1930 წ. № 11, მუხ. 148; № 13, მუხ. 196; 1931 წ. № 10, მუხ. 103).

34. სათამასუქო დებულების 35 და 37 მუხლების შეცვლისა და 36, 38 და 40 მუხლების ამოშლის შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 4, მუხ. 38).

მიწისა, ტყისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

35. სასოფლო საბჭოებთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების მოწყობისა და მათი დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება სასოფლო საბჭოებთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 3, მუხ. 31).

36. იმ დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ, რომლითაც ადგილობრივ საბჭოებს მინიჭებული აქვთ უფლება ადმინისტრატიული გადასახდელი დაადვან იმ პირთ, ვინც თავს აარიდებს პურის ჩაბარებას თვითვალდების წესით პურის დამზადების გეგმის შესასრულებლად (კან. კრ. 1930 წ. № 3, მუხ. 32).

37. ადგილობრივი საგლეხო-სადაზღვევო ხელუხლებელი სათესლე მარაგის (ფონდების) თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 3, მუხ. 37).

38. სასოფლო საბჭოების პრეზიდიუმების მიერ სატყეო წესების დარღვევისა და განზრახი წანახედის საქმეთა განხილვის წესის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 114).

39. სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სოფლის აგრონომიულ რწმუნებულთა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 11, მუხ. 151).

40. ზოორწმუნებულთა დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ზოორწმუნებულთა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 180).

41. მეცხოველეობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის საჭირო მასიურ ღონისძიებათა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 13, მუხ. 198).

42. წანახედით მიყენებული ზარალის გამო აღძრულ დავათა განხილვის წესის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 14, მუხ. 206).

43. საქონლის დაუზოგველად დაკვლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 1, მუხ. 4).

44. სოფლის მეურნეობაში და ჭაპანზიდვის ტრანსპორტში საწევი ძალის დაცვისა და გამრავლებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ (კან. კრ. 1931 წ.. № 5, მუხ. 57).

45. მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 12, მუხ. 133; 1932 წ. № 5, მუხ. 47).

46. ჩაის ნარგავთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ და გასაღების მიზნით ჩაის შინაურულად დამუშავების აკრძალვის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 14, მუხ. 158).

47. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 21, მუხ. 215; 1932 წ. № 1, მუხ. 4).

ვაჭრობისა და მომარაგების დარგში.

48. პურეულის და ბოსტნეულის დამზადების რაიონებიდან რკინის გზის სადგურებამდე და ნავთსადგურებამდე გადაზიდვისათვის ხელის შემწყობ ღონისძიებათა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 20, მუხ. 296).

49. საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატად გადაკეთების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 26).

ტრანსპორტის დარგში.

50. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 23, მუხ. 245).

51. საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი საგზაო ორგანოების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 23, მუხ. 246).

კომუნალური და საბინაო მეურნეობის დარგში.

52. საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის თაობაზე გამოცემული დადგენილების ცვლილებანი (კან. კრ. 1930 წ. № 2, მუხ. 15; № 4, მუხ. 47; № 14, მუხ. 210; № 20, მუხ. 297; 1931 წ. № 3, მუხ. 43; № 10, მუხ. 109; № 12, მუხ. 140; № 15, მუხ. 178; № 18;მუხ. 193).

53. დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების თაობაზე გამოცემული დეკრეტის ცვლილებანი (კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 82; 1931 წ. № 15, მუხ. 177; № 22, მუხ. 235).

54. მოუვლელობის გამო ქალაქ ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების არასაცხოვრებელ შენობებზე გავრცელების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 342).

55. კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 1, მუხ. 5; № 18, მუხ. 191; № 22, მუხ. 235).

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. საცხოვრებელი სადგომების თაობაზე გამოცემული დეკრეტის ცვლილებანი (კან. კრ. 1931 წ. № 21, მუხ. 221; № 22, მუხ. 235; № 24, მუხ. 254, 255).

57. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კომუნალური მეურნეობის სამმართველოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად გადაკეთებისა და ამ უკანასკნელის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 22, მუხ. 234).

58. საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემული მუნიციპალიზებული სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაფინანსების სპეციალური საქალაქო ფონდების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 4, მუხ. 39).

ფინანსების დარგში.

59. სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა გადაუხდელობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 79; № 23, მუხ. 323).

60. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 6, მუხ. 71; № 10, მუხ. 113; № 15, მუხ. 179; № 18, მუხ. 195, 196, 197).

61. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 17, მუხ. 184; № 24, მუხ. 257).

შრომის დარგში.

62. შრომის გმირთა თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 108).

63. პასუხსაგებ სამუშაოზე მუშათა და გლეხთა დაწინაურების წესისა და დაწინაურებულთა მუშაობის პირობების თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 11, მუხ. 146).

64. თანამდებობის პირთა ხელქვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება თანამდებობის პირთა ხელქვეითობის წესით სადისციპლინო პასუხისმგებლობის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 225).

65. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 256; № 24, მუხ. 259).

66. შინა-მოსამსახურეთა შრომის პირობების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 19, მუხ. 281).

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებისათვის ბამბის დამზადების რაიონებში სასყიდლიანი საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების ნებართვის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 20, მუხ. 300).

68. ნატურალური წყალსამეურნეო ბეგარის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 116).

სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში.

69. ხელოვნების სახალხო და დამსახურებულ მოღვაწეთა და სახალხო და დამსახურებულ არტისტთა შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 1, მუხ. 5).

70. საქართველოს სსრ-ში საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების წესის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 170; 1931 წ. № 5, მუხ. 63).

71. ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის დამსახურებისათვის პერსონალური პენსიების დანიშვნის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 14, მუხ. 207).

72. სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციების გამგებლობაში გადაცემული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ხელმძღვანელობის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 248).

73. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 20, მუხ. 295).

74. საქართველოს სსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და მოწყობისათვის ხელის შემწყობი ფონდების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 335).

75. პერსონალური პენსიების დებულების გაუქმებისა და პერსონალური ენსიების დანიშვნის წესის დამყარების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 49).

76. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება მზრუმვეობისა და მრეწველობის ორგანოების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 118).

77. მილიციის ორგანოებისათვის და სხვა თანამდებობის პირთათვის დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში დახმარების აღმოჩენის დროს დაზარალებულ მოქალაქეთა უზრუნველყოფის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 122).

78. მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 12, მუხ. 146).

79. საქართველოს სსრ-ის საარქივო მმართველობის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება საქართველოს სსრ-ის საარქივო მმართველობის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 16, მუხ. 183).

80. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 18, მუხ. 199).

81. საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კურორტების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 21, მუხ. 288).

82. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საბჭოთა აღმშენებლობის სახლის დაარსებისა და ამ სახლის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობის სახლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 262).

სასამართლო წყობილებისა და სამართლის წარმოების დარგში.

83. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების ცვლილებანი (კან. კრ. 1930 წ. № 7, მუხ. 63; № 9, მუხ. 86, 87; № 11, მუხ. 155; № 16, მუხ. 253; 1931 წ. № 3, მუხ. 52; № 15, მუხ. 82; № 21, მუხ. 232; № 23, მუხ. 250, 251).

84. სასოფლო საბჭოების სანოტარო მოქმედების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 7, მუხ. 64).

85. საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 72; № 13, მუხ. 199; № 16, მუხ. 253; 1931 წ. № 12, მუხ. 148).

86. შრომის საქმეთა პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 228; 1931 წ. № 10, მუხ. 127).

87. პროკურატურის ორგანოების ხელის შემწყობი უჯრედების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება პროკურატურის ორგანოების ხელის შემწყობი უჯრედების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 254).

88. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების მოწყობისა და ამ სასამართლოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 22, მუხ. 318; 1931 წ. № 10, მუხ. 126; № 14, მუხ. 165).

ეროვნული ბიბლიოთეკა

89. დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისა და საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ-ის უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 8, მუხ. 89).

90. საქართველოს სსრ-ში საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 125; № 21, მუხ. 231).

91. ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებასა და საწარმოში მომქმედი საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 11, მუხ. 129; № 14, მუხ. 166; 1932 წ. № 5, მუხ. 50).

92. საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებში არსებულ საამხანაგო სასამართლოების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 22, მუხ. 239; 1932 წ. № 5, მუხ. 511).

93. სისხლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 268).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.
ტფილისი.

---

148. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

საქართველოს სსრ კოდექსების იმ ცვლილებების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი კოდექსების ცვლილების შესახებ, რაც სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10-ის თარიღითა და 77 №-ით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლისამებრ (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

1. ზოგიერთი მუხლის შევსებისა და შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 74).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 265 მუხლის მე-2 შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 75).

3. 324 მუხლის შეცვლისა და მე-X თავის მე-5 კარის მე-IX განყოფილების დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 76).

4. 137 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 117).

5. 73 და 80 მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 11, მუხ. 147).

6. 137 მუხლისათვის „ი" პუნქტის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 174).

7. 421 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 175).

8. მე-9 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 13, მუხ. 194).

9. 269^{1} მუხლის დამატებისა და ცვლილების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 13, მუხ. 195; 1931 წ. № 3, მუხ. 32).

10. 366^{69} მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 14, მუხ. 209).

11. 333 მუხ. და 334 მუხ. შენიშვნის შეცვლისა და 339 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 23, მუხ. 321).

12. 156^{1} მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 341; 1931 წ. № 14, მუხ. 157).

13. 171 მუხლის „თ" პუნქტის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 30).

14. 171 მუხლის დანართად გამოცემული „სახლის დროებითი მდგმურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლების შენარჩუნების პირობების დებულების მე-5 მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 31).

15. 156 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 171).

16. 172 მუხლის დანართის მე-2 მუხლის „ა" ლიტერის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 102).

17. 341 მუხლის გაუქმების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 15, მუხ. 191).

18. 428 მუხლის 1-ლი შენიშვნისა, 430 მუხლის და მისი პირველი შენიშვნისა და 431 და 434 მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 23, მუხ. 242).

19. 322 მუხლის რედაქციის შეცვლისა და $323\text{-}366\text{-}^{102}$ მუხლების გაუქმების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 5, მუხ. 46).

მიწის კოდექსი,

1. საადგილ-მამულო დავათა გადაძწყვეტ სპეციალურ ორგანოების გაუქმებისა, ამ დავათა განხილვის წესისა და საქართველოს სსრ მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 334).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყის კოდექსი.

1. 29 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 2, მუხ. 25).

2. 96 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 11, მუხ. 72).

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი.

1. 122 მუხლის შენიშვნის შევსების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 14, მუხ. 208).

2. 92 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამ მუხლისათვის დანართის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 23, მუხ. 319).

3. 121 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 23, მუხ. 320).

სისხლის სამართლის კოდექსი.

1. 88 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 107).

2. 75 მუხლის 1-ლი ნაწ. შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 2, მუხ. 16).

3. 136^1 მუხლის დამატებისა და შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 3, მუხ. 38; 1931 წ. № 2, მუხ. 23).

4. 14, 31, 39, 44, 48, 49 და 52 მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 4, მუხ. 48).

5. 109^1 მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 4, მუხ. 49).

6. 58^{22} მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 110).

7. 143^2 მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 111).

8. 20, 28, 29, 34, 35, 54, 55 და სხვა მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 122).

9. მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნისა, 85 მუხლის მე-2 ნაწილისა და 195 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 123).

10. 171^1 მუხლის დამატებისა და ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დევნის წესის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 11, მუხ. 153).

11. 52 და 204 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 181).

12. 183^1 მუხ. დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 14, მუხ. 211).

13. 30^1 და 30^2 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 227).

14. 200^1 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 234).

15. 78 მუხლის შეცვლისა და 79^1 და 88^2 მუხლების დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 252).

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. 31 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 20, მუხ. 298).

17. 195 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 20, მუხ. 300).

18. მე-20 მუხლის „ო“ პუნქტისა და 41[1] მუხლის დამატებისა და 118 მუხლის მე-2 ნაწილისა და 134 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 23, მუხ. 324).

19. 205[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 23, მუხ. 323).

20. სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის ახალი რედაქციის სამოქმედოდ შემოღების გამო ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 23, მუხ. 326).

21. 136[2] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 338).

22. სამხედრო დანაშაულთა დებულების 15 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 346).

23. 39 მუხლის დანართისათვის მე-2 მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 24, მუხ. 347).

24. 137 მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 2, მუხ, 24).

25. 89 მუხლის 1-ლი ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 50).

26. 58[17]გ. მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 5, მუხ. 65).

27. 61[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 5, მუხ. 66).

28. 92[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 5, მუხ. 67).

29. 106, 113, 208 და 209 მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 5, მუხ. 68).

30. 60 მუხლის და 61 მუხლის მე-2 ნაწილის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 123; № 18, მუხ. 203).

31. 78[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 124).

32. სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 18, მუხ. 202).

33. მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 18, მუხ. 204).

34. მე-15 მუხლის მე-3 შენიშვნის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 20, მუხ. 211).

35. 136[3] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 21, მუხ. 230).

36. 61 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 264).

37. 103[2] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 265).

38. 105[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 266).

39. 108 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 3, მუხ. 27).

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. 196[2] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 3, მუხ. 28).

41. 210[1] მუხლის დამატებისა და ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხილვის წესის შესახებ (კან. კრ. 1932 წ. № 3, მუხ. 29).

42. 136[1] ა, 136[1] ბ და 136[1] გ. მუხლების დამატების შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

1. 97 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 2, მუხ. 21).

2. 4[1] მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 4, მუხ. 51).

3. 32[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 124).

4. 454 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 125).

5. 130 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 130).

6. 85 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 179).

7. 27 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 53).

8. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. № 4, მუხ. 54).

9. 374 მუხლის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1931 წ. № 10, მუხ. 128).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.
ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

149. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

საქართველოს სსრ სამთო კოდექსის დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 20-ის დადგენილებით მიღებული საქართველოს სსრ სამთო კოდექსი (კან. კრ. 1930 წ. მე-8 №-ი, მუხ. 70 და 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 213).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

150. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

საგზაო მშენებლობის შესახებ.

მოისმინა რა მოხსენება საგზაო მშენებლობის შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესია აღნიშნავს:

სოციალიზმის გრანდიოზულ მშენებლობაში არსებულ გზათა ქსელის სათანადოდ მოვლასა და ახალ გზათა მშენებლობის ტემპების გაძლიერებას ენიჭება განსაკუთრებული პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძველზე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ქსელის გაფართოება, ტექნიკურ კულტურათა სწრაფი განვითარება, ტვირთბრუნვის გადიდება, საბჭოთა კავშირის ავტომობილიზაციის სწრაფი ტემპი და სოფლის და ქალაქის უფრო მჭიდრო დაკავშირება მეტად დიდ მოთხოვნილებებს აყენებს საგზაო მშენებლობის დარგში.

იმ დროს, როდესაც გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის ყოველივე დარგის სწრაფი განვითარება, საგზაო მშენებლობა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება სოციალისტური აღმშენებლობის ტემპებს და ხშირად იგი სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორსაც წარმოადგენს.

საგზაო მშენებლობის ჩამორჩენილობის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანამდე მას არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. ფართე მასებში ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩატარებული ახსნა განმარტებითი კამპანია მის უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ, და არ მომხდარა საბჭოთა საზოგადოებრივობის მობილიზაცია საგზაო მშენებლობის ხელის შეწყობის და განმტკიცების საქმეში.

ასეთი დამოკიდებულების შედეგია, რომ ხშირად ადგილობრივი საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანოები ვერ აფასებენ ისეთ დიდ ფაქტორს საგზაო მშენებლობის განვითარების საქმეში, როგორიც არის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გამოყენება.

მიუხედავად მომქმედი კანონისა საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის შესახებ და აქედან გამომდინარე ადგილებისათვის მიცემული დირექტივებისა, ზოგიერთმა რაიაღმასკომმა თავის დროზე ვერ შეადგინა ამ შრომის გამოყენების ოპერატიულ-კალენდარული გეგმები და ვერ გამოიჩინა ინიციატივა მოსახლეობის ენტუზიაზმის გამოსაწვევად შრომითი მონაწილეობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგზაო მშენებლობის უმთავრეს შემაფერხებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ერთის მხრივ ფულად დაბანდებათა სიმცირე და მეორეს მხრივ გეგმით გათვალისწინებული დაფინანსების შეკვეცა და მის დროზედ მიუღებლობა (პირველი ხუთწლედით საგზაო მშენებლობაზედ გათვალისწინებული თანხებიდან ფაქტიურად გაღებულია მხოლოდ 28%).

განსაკუთრებით აღსანიშნავია საკავშირო და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დაგვიანებით და არა გეგმიანად გაღება (1932 წლის პირველ ნახევარში მისაღებ თანხებიდან საკავშირო ბიუჯეტით მიღებულია 79%, ადგილობრივი ბიუჯეტიდან-52%), ადგილი აქვს აგრეთვე სამეურნეო ორგანოების მიერ მიზნობრივი თანხების დაგვიანებით გაცემას (მაგალითად, აღნიშნულ ორგანოებზე ირიცხება დავალიანება 535.000 მან.); შემდეგ დამაბრკოლებელ მიზეზებად უნდა ჩაითვალოს სააღმშენებლო მასალით მომარაგების არადამაკმაყოფილებელი პირობები და საკუთარი საჭაპნე-საავტომობილო ტრანსპორტის სიმცირე.

აგრეთვე შრომის პროცესების მექანიზაციის და აქედან გამომდინარე თვითღირებულების შემცირების და შრომის ნაყოფიერების ზრდის განვითარებას მეტად აფერხებს საგზაო მშენებლობის მექანიკური ძრავების და მანქანა-იარაღების სიმცირე. ამას ზედ ერთვის მუშა-ხელის საგრძნობი ნაკლებობა, რის მიზეზად უნდა ჩაითვალოს მუშათა მომარაგების და ყოფა-ცხოვრების პირობების მოუწყობლობა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე კვალიფიციურ მუშათა კადრების სიმცირე, განსაკუთრებით საგზაო მშენებლობის მანქანებზედ მომუშავეთა დარგში.

საგრძნობლად მოისუსტებს მასური მუშაობა და კულტ-მომსახურეობის საქმე არსებულ მუშათა კადრებს შორის.

რაიაღმასკომებსა და სოფლის საბჭოებს შორის საკმარისად არ არის გამოყენებული შრომის სოციალისტური მეთოდები გზათა მშენებლობის გასაძლიერებლად და მასში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის სავსებით გამოსაყენებლად.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა მიმდინარე სააღმშენებლო წლის პირველ ნახევრის საწარმოო გეგმის შესრულების მაჩვენებლები ნათლად ამტკიცებენ, რომ წარსულ წლებთან შედარებით ჩვენ გვაქვს თვალსაჩინო გარდატეხა საგზაო მშენებლობის ტემპების განვითარების საქმეში (საკავშირო გზებზე შესრულება უდრის 80-180%-ს. რესპუბლიკანურ გზებზე კი 113-190%-ს.).

პირველი ხუთწლედის დამამთავრებელი მე-4 წლის გეგმების წარმატებითი შესრულებით უნდა მოხდეს საბოლოოდ გარდატეხა შემდეგისათვის გზათა მშენებლობის გაძლიერებული ტემპებით განვითარების საქმეში.

მეორე ხუთწლედისათვის საგზაო მშენებლობის დარგში საკავშირო მე-XVII პარტკონფერენციისა და საქართველოს მე-8 პარტყრილობის მიერ გამომუშავებული დირექტივები რომ უკლებლივ განხორციელდენ და ამხ. სტალინის ექვსი ისტორიულ მითითებათა საფუძველზე გარდაქმნილი საგზაო მშენებლობა თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემპებით სავსებით გაუთანასწორდეს მთელ სოციალისტურ მშენებლობაში საერთოდ აღებულ ტემპებს, სესია საჭიროდ სთვლის შემდეგ ღონისძიებათა გატარებას:

1. რადგან საგზაო მშენებლობა პირველი ხუთწლედის განმავლობაში მეტად ჩამორჩენილ შტოს წარმოადგენდა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში და რადგან ეს ჩამორჩენა სავსებით უნდა ანაზღაურებულ იქნეს მეორე ხუთწლედში, ამიტომ წინადადება ეძლევა საქ. საგეგმო კომისიას—მეორე ხუთწლედის გეგმების შედგენის დროს საგზაო მშენებლობაზე გადასადები თანხები გაითვალისწინოს შესაფერი რაოდენობით, ვიდრე ეს იყო პირველ ხუთწლედში.

2. საგზაო მშენებლობის ტემპების გაძლიერების მიზნით საქ. გზატრანსის მიერ მიღებულ იქნეს ყოველივე ზომები მშენებლობისათვის საჭირო მასალის მომარაგების გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შინა რესურსების გამოყენებას და საალმშენებლო მასალის დამზადებას. ამ მიმართულებით წინადადება მიეცეს საქ. მომარაგებას და სხვა სამეურნეო ორგანოებს, უკლებლივ შეასრულონ საქ. გზატრანსთან დადებული ხელშეკრულებანი.

3. საქ. გზატრანსმა მიიღოს ყოველივე ზომები როგორც საჭაპნე ისე საავტომობილო ტრანსპორტის გასაძლიერებლად იმ ანგარიშით, რომ პირველი ხუთწლედის დასასრულს საკუთარი ტრანსპორტით დაკმაყოფილებულ იქნეს არა ნაკლებ 50% მოთხოვნილებისა.

4. სამუშაოთა მექანიზაციის, რაციონალიზაციის და აქედან გამომდინარე თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გაძლიერების მიზნით საქ. გზატრანსმა გააფართოოს არსებული სარემონტო სახელოსნოები და თავისი პარკი მოამარაგოს გეგმით გათვალისწინებულ საჭირო მანქანა-იარაღებით.

5. წინადადება ეძლევა საქ. გზატრანსთან ხელშეკრულების მქონე ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს—თავის დროზე გაიღონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრივი თანხები, რომ ამით არ შეფერხდეს სეზონურ ცვლილებებთან დაკავშირებული საგზაო მშენებლობა (მაგალითად: ა/კ. საჰაერო ფლოტზე ითვლება 20.000 მან. დავალიანება, ა/კ. საშენ მასალათა ტრესტზე—18,600 მან., „საქ. ნავთზე"—136.700 მან., ალაზნის ბამბის საბჭ. მეურნეობაზე—50.000 მან., ტფილისის საბჭოზე—101.550 მან., გარეუბნის საბჭოზე—30.000 მან., რადიოცენტრზე—50.000 მან.).

6. საგზაო მშენებლობის სეზონური ხასიათის გამო დაევალოს ფინსახკომს—საგზაო მშენებლობის დაფინანსების სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს მეორე და მესამე კვარტალზე.

7. მიმდინარე წლის საწარმოო გეგმით გათვალისწინებული საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა 8.300.000 მან. ღირებულებისა რომ აუცილებლად იქნეს შესრულებული, კატეგორიული წინადადება ეძლევათ რაიალმასკომებსა და სოფლის საბჭოებს—მიიღონ სათანადო ღონისძიებანი, რა[illegible] საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის საკონტრ[illegible] დავალებანი აუცილებლად იქნეს შესრულებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ნაცვლად გაწერილ საკომპენსაციო თანხების გათვალისწინება რაიაღმასკომების საბიუჯეტო შემოსავალში ერთის მხრივ არღვევს მისი დახარჯვის შესახებ არსებულ წესს და მეორეს მხრივ საფრთხეში აყენებს მოსახლეობის ნატურით მაქსიმალური მონაწილეობის მიღებას საგზაო მშენებლობაში. ამის გამო წინადადება ეძლევა ფინსახკომს რაიაღმასკომებთან ერთად ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილიდან აუცილებლად ამოშალოს იქ გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხები და შემდეგისათვისაც აღკვეთილ იქნეს მსგავსი პრაქტიკა.

9. ვინაიდან ტრაქტორების უწესო მიმოსვლის გამო მთელი რიგი გზები საგრძნობლად დაზიანებულია, წინადადება მიეცეს ტრაქტორცენტრს აუცილებლად დაიცვას ტრაქტორების მიმოსვლის შესახებ არსებული წესები, საქ. გზატრანსმა კი თავის მხრივ მიიღოს გადამჭრელი ზომები გზებზე ტრაქტორების მიმოსვლის წესის დასაცავად და ცხოვრებაში გასატარებლად.

10. საგზაო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქ. გზატრანსმა ადგილებზე და სამუშაო ობიექტებზე გააძლიეროს ცოცხალი ტექნიკური ზედამხედველობა და სისტემატიურად აწარმოოს ინსტრუქტაჟი.

11. საგზაო მშენებლობაზე მყოფი მუშა-ძალები სავსებით უნდა უზრუნველყოფილ იქნენ ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, მომარაგებით, საზოგადოებრივი კვებით, შესაფერი ბარაკებით და სხვა. ამ მიზნით საქ. მომარაგების სახალხო კომისარიატს ევალება, მიიღოს საჭირო ღონისძიებანი და გაითვალისწინოს საგზაო მშენებლობის მუშების მეორე სიით მომარაგება.

12. ცეკავშირს ევალება საგზაო მშენებლობის მუშების კუთვნილი ფონდი თავის დროზე გადაუგზავნოს დანიშნულებისამებრ და აგრეთვე შეუვსოს გასული თვეების დანაკლისი ფონდი.

13. კვალიფიციური ძალებით საგზაო მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს საქ. გზატრანსს—მიიღოს ყოველივე ღონისძიებანი, რათა საგზაო-საავტომობილო ტექნიკუმის და საგზაო-საღმშენებლო სასწავლებლების კადრები, თავის დროზე იქნენ გამოშვებული გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათ კვალიფიციურ სიმაღლეს. აგრეთვე მიიღოს ზომები, რათა ზემოაღნიშნულ, სასწავლებლების მოწაფეთა უმრავლესობა შესდგებოდეს მუშის შვილებისა, კოლმეურნეებისა, ღარიბებისა და მოჯამაგირეებისაგან.

14. როგორც თვითონ გზატრანსის, ისე პროფკავშირის ხაზით გაძლიერებულ იქნეს ორგ-მასური მუშაობა, ფართოდ გაიშალოს სოც. შეჯიბრის პრაქტიკა და გაძლიერდეს მუშაობა სამეურნეო ბრიგადების განვითარება-განმტკიცების საქმეში.

15. ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობაზე საჭირო ეფექტის მისაღებად და თანხების დაქუცმაცების თავიდან აცილების მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი მიმდინარე წელში ადგილობრივ გზებზე გათვალისწინებული ფულადი დაბანდებიდან ორი მესამედი დაიხარჯოს კაპიტალურ მშენებლობაზედ ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზაციის წესით და ერთი მესამედი კი საექსპლოატაციო ხარჯებისათვის შეტანილ იქნეს უშუალოდ რაიალმასკომის ბიუჯეტში.

16. იმ რაიალმასკომებს, რომელთაც დღემდის არ გამოუყვიათ საგზაო სექციები და მათი გამგენი, წინადადება ეძლევათ შეასრულონ ამ საკითხზე მიცემული დირექტივა და დაუყოვნებლივ გამოჰყონ საგზაო სექციის გამგენი (არა შეთავსებით).

17. დაევალოს საქ. სახკომსაბჭოს მიმდინარე წელსვე ჩაატაროს იმ რაიონების დაჯილდოება, რომელნიც გადაჭარბებით შეასრულებენ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის საკონტროლო დავალებებს.

18. ვინაიდან არსებული კანონი საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის შესახებ ზოგიერთ ნაწილში დღევანდელი პირობებისათვის მოითხოვს შესწორებებს და დამატებებს, საჭიროდ იქნეს ცნობილი ახალი კანონის გამოცემა საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1931 წლის 10 აგვისტოს დადგენილების საფუძველზედ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 18.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 154 №-ში 1932 წ. ივლისის 4.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

151. დადგენილება ც.ა.კ.

(მVIე- მოწვევის მე-2 სესიისა)

ტფილისის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბ. მაჩაიძის მოხსენების გამო

ტფილისის საქალაქო მეურნეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

I

საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მოახდინა მენშევიკური ბატონობის ლიკვიდაცია, თავისი არსებობის პირველი დღიდანვე შეუდგა დანგრეული საქალაქო მეურნეობის აღდგენას; ამ მეურნეობას მან დააკისრა მშრომელთა ფართო მასების სამსახური. საბჭოთა ხელისუფლებამ მოკლე ხანში გაშალა დიდი მუშაობა საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში და მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს საქალაქო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში.

ეს მიღწევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ელექტრომეურნეობის (ზაჰესის აგება და ქალაქის განმანაწილებელი ელექტროქსელის ხელახლა მოწყობა), წყალსადენის (ნატახტარის წყალსადენის მშენებლობა), ტრამვაის მეურნეობის (მოძრავი შემადგენლობის განახლება თითქმის $^{3}/_{4}$ით, ტრამვაის ქსელის თითქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ერთი-ორად გაფართოება და სხვ.) და ნაწილობრივ საბინაო მშენებლობის დარგში (უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში კაპიტალური დაბანდება 20 მილიონ მანეთს აღემატება).

მაგრამ ეს მიღწევები, რა თქმა უნდა, სრულებით საკმარისი არაა როგორც გაძლიერებული მრეწვლობის საჭიროებისა, ისე ქალაქის მუშებისა და მშრომელი მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ტფილისის საქალაქო მეურნეობა განსაკუთრებით ჩამორჩენილია საბინაო მშენებლობის, სანიტარულ-ჰიგიენურ დაწესებულებათა ქსელის განვითარების (საზოგადოებრივი სამრეცხაოები, აბანოები, ქალაქის გაწმენდა) და გარეგანი კეთილმოწყობის მხრივ (გზების მშენებლობა, ქუჩების მოკირწყლვა, ქალაქის დაგეგმვა, მცენარეების გაშენება და სხვ.).

სესია აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ივნისის პლენუმის დადგენილების საფუძველზე ტფილისის საქალაქო მეურნეობის ზრდა-განვითარების საქმეში გადამწყვეტი გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაბანდება 1931 და 1932 წლებში, 1930 წელთან შედარებით, თვალსაჩინოდ იზრდება (ასე მაგ., 1931 წ.—90%-ით (13,7 მილ. მანეთი, წინააღმდეგ 7,2 მილ. მანეთისა, ხოლო 1932 წ.—225%-ით (23,4 მილ. მანეთი).

საერთოდ, ტფილისის საქალაქო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ცალკე დარგების მიხედვით ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი:

საბინაო მეურნეობა.

მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებისა, რაც მიმართულია მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესებისაკენ, ახალი საბინაო მშენებლობის ზრდის ტემპები არ შეეფერება ქალაქის სამრეწველო განვითარების კიდევ უფრო მძლავრ ტემპებს და ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის რაოდენობითს ზრდას (1927 წელს მოსახლეობის რიცხვი შეადგენდა 263.000, ხოლო 1932 წელს ეს რიცხვი 400.000-მდე აღწევს). უკანასკნელი ხუთი წლის ცნობების მიხედვით ახალი საბინაო მშენებლობა ფარავს მხოლოდ არსებული საცხოვრებელი სივრცის ბუნებრივ დაკლებას, რის გამოც ქალაქი საბინაო ფონდის მწვავე დეფიციტს განიცდის. საშუალო ფაქტიური სულობითი ნორმა 6,5 კვადრატიული მეტრიდან 1927 წელს შემცირდა 4,6 კვადრატულ მეტრამდე 1932 წელს.

საქალაქო ტრანსპორტი.

ტრამვაის მეურნეობის აღდგენა და რეკონსტრუქცია, რაც არსებითად გატარებულ იქნა 1924-1927 წლებში, უზრუნველყოფდა ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას მხოლოდ 1929 წლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის ტრამვაის მეურნეობის განვითარება უკანასკნელ წლებში (1929—1932 წ.) საგრძნობლად ჩამორჩა, იმ მოთხოვნილებას, რასაც მას დღეს ქალაქი უყენებს.

მოძრავი ვაგონების რიცხვი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სტაბილური რჩება (1929 წ.—123, 1930 წ.—122 და 1931 წ.—122), მაშინ, როდესაც ამავე პერიოდის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობა მნიშვნელოვანად გაიზარდა. ერთ მოძრავ ვაგონზე გადაყვანილი მგზავრი მოდიოდა: 1930 წელს; ტფილისში—2.262, მოსკოვში—1.829, 1931 წელს: ტფილისში—2.727, მოსკოვში—1.830. მეორეს მხრით, მოძრავი შემადგენლობის გადიდება უკავშირდება ელექტრონის მოწყობილობის რენოვაციის საკითხს (ელექტროსადგური და საკაბელო ქსელი); ამ მოწყობილობის დღევანდელი მდგომარეობა, მისი მოძველების გამო, არ იძლევა საშუალებას, რომ ხაზზე 132 ვაგონზე მეტი გამოვიდეს.

ქალაქის მთელი რაიონები (მუშათა და სამრეწველო განაპირა რაიონში) ჯერ კიდევ არ არის შეერთებული ქალაქის ტრამვაის ხაზებთან.

სათანადო მოძრავი შემადგენლობის (საბარგო მოტორიანი ვაგონები და ბაქნები) და მისასვლელი გზების უქონლობის გამო, დღემდე არ არის მოწყობილი ტრამვაით ტვირთის გადაზიდვის საქმე.

ტრამვაის ტრანსპორტის ნაკლებობა, უახლოეს წლებში მისი განვითარების პერსპექტივები (თვალსაჩინო სახსრების დაბანდების საჭიროება, არსებული გზების ფართო ლიანდაგიან გზებად გადაკეთება) და ქალაქის რელიეფის თავისებურობა, რაც შეუძლებლად ხდის ქალაქის თვალსაჩინო ტერიტორიაზე ტრამვაის ტრანსპორტის გამოყენებას,—ყოველივე ეს მკვეთრად აყენებს საკითხს ურელსო საავტომობილო ტრანსპორტის ორგანიზაციის შესახებ.

ენერგეტიკული მეურნეობა.

ზაჰესის აგებამ და ქალაქის განმანაწილებელი ქსელის ხელახლა მოწყობამ, რაც არსებითად დამთავრებულ იქნა 1927 წელს, საკმაოდ უზრუნველყო ქალაქის მრეწველობისა და მოსახლეობის ელექტრო-ენერგიის საჭიროების დაკმაყოფილება მხოლოდ სამი-ოთხი წლის განმავლობაში 1927 წლის შემდეგ.

ამჟამად კი ელექტრომეურნეობის ბალანსის მდგომარეობა მწვავე ხასიათს ატარებს ზაჰესის სრული დატვირთვის გამო. საყოფაცხოვრებო დატვირთვა, რასაც ორი წლის წინად ჩვენ ვაქეზებდით (შეღავათიანი ტარიფები), ამჟამად ძალიან შეზღუდულია და 1931 წელს ქალაქი უკვე ელექტრო-ენერგიის ნაკლებობის წინაშე დადგა.

წყლის მიწოდება.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლების განმავლობაში წყალსადენის ქსელის სიგრძე 130 კილომეტრიდან 1921 წელს გაიზარდა 200 კილომეტრამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1931 წელს. ამავე პერიოდის განმავლობაში წყლის დღიური მიწოდება გადიოდა 1.100 ათასი ვედროდან 2.000 ათას ვედრომდე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წყლის მიწოდება დღემდე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის და მრეწველობის თანდათან გადიდებულ მოთხოვნილებას. წყალსადენის ქსელი ვრცელდება მხოლოდ ქალაქის $^2/_3$/-ზე (მაშინ, როდესაც ქუჩების საერთო სიგრძე 300 კილომეტრს უდრის, წყალსადენის ქსელის სიგრძე 200 კილომეტრს შეადგენს; 14.000 სახლმფლობელობიდან წყალსადენთან შეერთებულია სულ 9.911 სახლმფლობელობა). ნატახტარის წყალსადენის მშენებლობა, რომელმაც წყლის მიწოდების ამოცანა ტფილისში რადიკალურად უნდა გადაჭრას, მეტისმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს (მისი მშენებლობა უნდა დამთავრებელიყო ჯერ კიდევ 1930 წლის შემოდგომაზე, და ის კი დღესაც დაუმთავრებულია).

ქალაქის გარეგანი კეთილმოწყობა.

სესია აღნიშნავს, რომ ტფილისის საქალაქო მეურნეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი დარგია გზების და ქუჩების მშენებლობა. ქუჩებისა და გასასვლელი გზების საერთო ფართობიდან, რომელიც ტფილისში 2.800 ათას კვადრატულ მეტრს უდრის, ქვით დაფენილია მხოლოდ 60%. გაუმჯობესებული სახით გაკეთებული ქუჩები უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ (3%).

ხიდების რაოდენობა მდ. მტკვარზე ძლიერ მცირეა (5). ამავე დროს ყველა ხიდი ძველია, და, როგორც ასეთები, გარდა ერთისა ვერ აკმაყოფილებენ ტვირთისა და მგზავრების მოძრაობის გადიდებულ მოთხოვნილებებს.

ქ. ტფილისში, რომელიც მდებარეობს გაშიშვლებულ მთებს შუა, სრულიად არ არის სათანადო ნაგებობანი წვიმის წყალის თავიდან ასაცილებლად; დიდი წვიმების დროს ბევრ ქუჩაში ჩნდება ნიაღვრები, რის გამოც ხშირად ყოველგვარი მოძრაობა ჩერდება.

ამასთან ერთად, არ არის გაკეთებული სათანადო არხები და მდინარე მტკვარი ადიდების დროს ქალაქის ზოგიერთ დასახლებულ ნაწილს წყლით ფარავს, რის გამოც ქალაქი ყოველ წელიწადს წყალდიდობის დროს დიდ ზარალს განიცდის (რამოდენიმე ასეული ათასი მანეთის რაოდენობით).

გარეგანი კეთილმოწყობის სხვა დარგების ხაზით სესია აღნიშნავს:

1. ქალაქის სწორი დაგეგმვის უქონლობას;

2. მცენარეთა ნარგავი ფართობის დიდ სიმცირის (2%), კერძოდ ასეთ ნარგავთა დიდ მასივების უქონლობას და ტყის კულტურის განვითარების მეტად ნელ ტემპებს.

ქალაქის გაწმენდა და სანიტარული მდგომარეობა.

ქალაქის სანიტარული მდგომარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია. საკანალიზაციო ქსელი საკმარისად არ არის განვითარებული: მაშინ, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩებისა და გასასვლელი გზების საერთო სიგრძე 300 კილომეტრს უდრის და წყალსადენის ქსელი კი 200 კილომეტრს, საკანალიზაციო ქსელის სიგრძე შეადგენს სულ 152 კილომეტრს. კანალიზაცია უშუალოდ მტკვარში ეშვება. სრულიად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს ქალაქში სიბინძურის და მტვრის გაწმენდა-გაზიდვა (ტრანსპორტის სიმცირე, ნაგვის საქმის მოუწესრიგებლობა და სხვ.).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დრომდე ტფილისის საქალაქო საბჭო სანიტარიისა და კეთილმოწყობის მხრივ სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ქალაქის გარეუბნებს მაგ., ნაძალადევს, დიდუბეს, საბურთალოს, ვაკეს და სხვ.

მეტად არასაკმარისად არის განვითარებული სანიტარულ-ჰიგიენურ დაწესებულებათა ქსელი; ქალაქში არსებული აბანოების გამტარიანობის უნარი უზრუნველჰყოფს დაახლოებით 8-ჯერ დაბანვას წელიწადში ერთ კაცზე, მაშინ, როდესაც წლიური სანიტარული მინიმუმი 24-ს უდრის; სრულიად არ არის ქალაქში ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც ყოფაცხოვრების სოციალიზაციას უწყობენ ხელს (განსაზოგადოებული სამრეცხაოები, ფაბრიკა-სამზარეულოები და სხვ.).

კომუნალური მშენებლობა.

სესია აღნიშნავს, რომ კომუნალური მშენებლობის განვითარების საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს, რომელთაგან უმთავრესი არის შემდეგი:

1. არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული 1931 წლის მშენებლობის გეგმა (ტექნიკური შესრულება შეადგენს წლიური გეგმის 55,6% და აგრეთვე არადამაკმაყოფილებელია მშენებლობის გეგმის შესრულება 1932 წლის პირველ კვარტალში: საკვარტალო გეგმის 28,4% საბინაო მშენებლობაში და 53,8% კომუნალურ მშენებლობაში).

2. კომუნალური მშენებლობის დარგში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ მხარედ უნდა ჩაითვალოს სასკოლო მშენებლობა: არ არის აგებული არც ერთი სასკოლო შენობა და არც არსებული შენობებია შეკეთებული.

3. მშენებლობის საფონდო მასალით არადამაკმაყოფილებელ მომარაგებასთან ერთად, ტფილისის საქალაქო საბჭო საკმარის მუშაობას ვერ ატარებდა თვითდამზადებათა საქმეში და აგრეთვე ახალი და ადგილობრივი საშენი მასალის დასამზადებლად საჭირო დამხმარე საწარმოთა ორგანიზაციის დარგში.

4. თითქმის სრულიად არა აქვს ადგილი სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციას (არ არის სატკეპნი მანქანები, ქვის სამტვრევი მანქანები, ავტოტრანსპორტი, ექსკავატორები და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სუსტად წარმოებდა ბრძოლა თვისობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის (თვითღირებულების ლიმიტების გადიდება, სამშენებლო სამუშაოთა დაბალი თვისება და სხვ.).

6. საკმარისად ვერ იქნა უზრუნველყოფილი საპროექტო მასალით ნატახტარის წყალსადენის უაღრესად საპასუხისმგებლო მშენებლობა, განსაკუთრებით საქალაქო ქსელის აგების ხაზით.

7. არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი კომუნალური მეურნეობა ტექნიკური კადრებით და სრულიად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებდა მუშაობა მშენებელთა კადრების მოსამზადებლად კომუნალური მეურნეობის ყველა დარგისათვის.

აღნიშნული დეფექტები უმთავრესად გამოწვეულია ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების არასაკმარისი განხორციელებით და აგრეთვე საბჭოს, მისი სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების საორგანიზაციო-მასური მუშაობის ჩამორჩენით ტფილისის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის ხაზით.

II

საქალაქო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის და აგრეთვე 1932 წლის გაგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა სრული საწარმოო გამოყენებისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია ადგენს:

საბინაო მშენებლობის დარგში.

1. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს ფხიზლად ადევნოს თვალყური და სასტიკი კონტროლი გაუწიოს 1932 წლის საბინაო მშენებლობის გეგმის განხორციელებას ყველა კატეგორიის მეაღნაგეთა ხაზით, როგორც იმ მხრივ, რომ სათანადო ორგანიზაციებმა და უწყებებმა პირდაპირი დანიშნულებით დახარჯონ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსარი, ისე ამ სახსრების სრული გამოყენების მხრივ გეგმის თანახმად.

2. საცხოვრებელი ფართობის განთავისუფლების მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს იმ დაწესებულებათა სია, რომელნიც შეიძლება უმტკივნეულოდ იქნენ გადაყვანილი სხვა ქალაქებში.

3. დაჩქარებულ იქნეს მთელი მუნიციპალიზებული საცხოვრებელი ფონდის (საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი და სახლთა ტრესტები) ნამდვილ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, თანაც თვითეული სახლისათვის ცალკე დატოვებულ იქნეს სამეურნეო-საფინანსო გეგმები.

4. უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა სახლებზე სართულების დაშენება აუცილებელ არქიტექტურულ მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად, რის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგადაც სახლების საერთო გარეგნობა მახინჯდება; თანაც ამ სახის მშენებლობა მეტის-მეტად გვიანდება; აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციები ზოგჯერ მუშაობას იწყებენ საჭირო საშენი მასალის წინასწარ მოუმარაგებლად; ამასთან ზოგიერთ შემთხვევაში საცხოვრებელი ფონდი მუშაობის დამთავრებამდე ნაწილდება და სხვ. ყველა ამის გამო წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს უმოკლეს დროში მოაწესრიგოს ამ მშენებლობის წარმოება გეგმების წინასწარი შედგენით. აგრეთვე გააძლიეროს მუდმივი ტექნიკური ზედამხედველობა აღნიშნულ სამუშაოთა წარმოებისა და მათი ვადაზე შესრულებისათვის, როგორც ახლად ასაგები სახლების, ისე სართულების დაშენების ხაზით.

5. რადგანაც კაპიტალური და მიმდინარე რემონტის წარმოებას საცხოვრებელი ფართობის შენარჩუნების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს და საბინაო კავშირს—გადასინჯონ სარემონტო სამუშაოთა გეგმა განსაზოგადოებულ სექტორში იმ მხრით, რომ ეს გეგმა მიუახლოვდეს სახლების პირველი რიგის საჭიროებას (სახურავებისა, წყალსადენისა და კანალიზაციის მოწყობილობის რემონტი სახლებ შიგნით, ყველა იმ დეფექტის თავიდან აცილება, რაც განსაკუთრებით საზიანოა სახლების ტექნიკური მდგომარეობისათვის და სხვ.).

6. რადგანაც საბინაო ფართობის საქმე ტფილისში მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს, დაისვას საკითხი სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში საბინაო მშენებლობისათვის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი სახსრების გაღების შესახებ ისეთი რაოდენობით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საშუალო სულობითი ნორმის გადიდება 1933 წელს მრეწველობის ძირითადი დარგების მუშებისათვის 6,5 კვადრატულ მეტრამდე და დანარჩენი მუშებისათვის 5 კვადრატულ მეტრამდე.

7. დაევალოს ტფილისის საქალაქო საბჭოს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასკოლო მშენებლობას: საჩქაროდ შეუდგეს სკოლებისათვის საჭირო და აუცილებელი ახალი შენობების აგებას და ძველი შენობების სათანადოდ შეკეთებას.

ქალაქის ტრანსპორტის დარგში.

1. გადიდებულ იქნეს ტრამვაის მოძრავი შემადგენლობა და ვაგონების რიცხვი 1933 წლისათვის აყვანილ იქნეს 180-მდე (ამჟამად არსებული 132 ვაგონის ნაცვლად).

2. არა უგვიანეს 1933 წლისა დამთავრდეს სავაგონო პარკის აგება ავლაბარში 150 ვაგონისათვის.

3. დამთავრებულ იქნეს მიმდინარე წელსვე ავლაბრისა და პარკის ელექტროქვესადგურების მშენებლობა და 1933 წელს დაწყებულ იქნეს მადათოვის ქვესადგურის აგება.

4. უზრუნველყოფილ იქნეს ტრამვაის ხაზის შპალებზე გადაყვანა იმ ანგარიშით, რომ გზების 50% გადაყვანილ იქნეს შპალებზე არა უგვიანეს 1933 წლის დასასრულისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. 1933 წლის დასასრულისათვის ტრამვაის გზების სიგრძე აყვანილ იქნეს 80 კილომეტრამდე (ამჟამად არსებული 60 კილომეტრის ნაცვლად, მათ შორის მისასვლელი გზების სიგრძე—5 კილომეტრამდე).

6. დაჩქარებულ იქნეს მოსამზადებელი მუშაობა ტრამვაის ხაზის ფართოლიანდაგიან ხაზზე გადასაყვანად.

7. უზრუნველყოფილ იქნეს ქალაქში 1933 წელს 30-მდე სამგზავრო ავტობუსის გამოშვება და ეს რიცხვი 1934 წელს გადიდდეს 60-მდე.

8. წელსვე ქალაქის ტრანსპორტის ხაზით გამოყენებულ იქნეს 30-მდე ტაქსი.

9. სესია მიზანშეწონილად და დროულად სცნობს ტფილისის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებას კოჯრის ელექტრო-რკინის გზის გაყვანის შესახებ.-

კოჯრის ელექტრო-რკინის გზის გაყვანასთან დაკავშირებით ქალაქის წინაშე უშუალოდ დაისმის ახალი ტფილისის პრობლემის გადაწყვეტის საკითხი (ქალაქის მშენებლობის საშენი ქვით უზრუნველყოფა, მშრომელთათვის ზაფხულის თვეებში კულტურული დასვენების პირობების შექმნა, საბინაო სიძნელეთა შემსუბუქება, ქალაქის სასურსათო მომარაგების საქმის გაუმჯობესება, გზის მდებარეობის რაიონში საწარმოო ძალთა განვითარება და სხვ.), რის გამოც ტფილისის საქალაქო საბჭოს ევალება, რაც შეიძლება დაჩქაროს კოჯრის ელექტრო-რკინის გზის მშენებლობა.

ენერგომიწოდების დარგში.

1. უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე წელს ზაჰესის მეორე რიგის მშენებლობის დამთავრება.

2. გაფართოებულ იქნეს ქალაქის საკაბელო ქსელი და აყვანილ იქნეს იგი 1932 წლის დასასრულისათვის 108 კილომეტრამდე და 1933 წლის დასასრულისათვის 118 კილომეტრამდე. სათანადოდ, საჰაერო ქსელის სიგრძე 1932 წელს აყვანილ იქნეს 250 კილომეტრამდე და 1933 წელს 257 კილომეტრამდე.

3. დაჩქარდეს საგამოკვლევო და საპროექტო მუშაობა ქალაქის თბოფიკაციის და გაზოფიკაციის გენერალური გეგმის შესადგენად და გათვალისწინებულ იქნეს მეორე ხუთწლედში ერთი თბოცენტრალის და ერთი გაზის ქარხნის აგება.

წყლის მიწოდების დარგში.

1. ტფილისის საქალაქო საბჭომ უზრუნველყოს ნატახტარის წყალსადენის ამუშავება 1932 წლის სექტემბრის დამლევისათვის.

2. ნატახტარის წყალსადენის საპროექტო სიმძლავრის სავსებით გამოყენების მიზნით, მიმდინარე წელსვე დაწყებულ იქნეს მოსამზადებელი მუშაობა ქალაქის განმანაწილებელი ქსელის გადასაკეთებლად; აღნიშნული სამუშაოსათვის გათვალისწინებულ იქნეს 1933 წ.—1.900.000 მან., რაც საჭიროა მთელი ქსელის 35%-ის გადასაკეთებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაჩქარებულ იქნეს ღრმა-ღელის სათადარიგო რეზერვუარის მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ იგი დამთავრდეს 1933 წელს.

4. ფუნიკულორისა და კოჯრის ელექტრო-რკინის გზის რაიონისათვის წყლის მისაწოდებლად მოეწყოს მქაჩავი სადგური 1933 წელს.

ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

1. გაძლიერებულ იქნეს სასანიტარო ტრანსპორტი და მოხდეს მისი მექანიზაცია; 1932 და 1933 წლების განმავლობაში ავტომანქანების რიცხვი აყვანილ იქნეს 20-მდე და ტაჩკებისა—120-მდე.

2. დამთავრდეს არა უგვიანეს 1933 წლის პირველი კვარტალისა ვერის რაიონში აბანოს მშენებლობა, რომლის გამტარიანობა საათში უნდა უდრიდეს 220 კაცს.

3. იმავე 1933 წელს დაწყებულ და დამთავრებულ იქნეს ავლაბრის საარაიონო აბანოს მშენებლობა, რომლის გამტარიანობაც საათში 220 კაცს უნდა უდრიდეს.

4. ამასთან ერთად მოეწყოს საზოგადოებრივი სარგებლობის საპკურებლების (დუშების) მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ 1932 წელს დაიწყოს ექსპლოატაცია არა ნაკლებ ერთი პუნქტისა და 1933 წელს—არა ნაკლებ 3 პუნქტისა.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალაქის გარეუბნის კეთილმოწყობისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბალნეოლოგიური სადგურის მშენებლობა.

ქალაქში არსებული ცხელი გოგირდის წყაროების სამკურნალოდ გამოყენება, ბალნეოლოგიური სადგურის აგების საშუალებით, საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

ამ მიზნით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია წინადადებას აძლევს ტფილისის საქალაქო საბჭოს, დაჩქარებით შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას ბალნეოლოგიური სადგურის მშენებლობის ფართოდ წარმოებისათვის მეორე ხუთწლედის დასაწყისიდან.

გზების გაკეთებისა და ქუჩების მოკირწყლვის დარგში.

1. დაჩქარებულ იქნეს თანდათანი გადასვლა გაუმჯობესებულ მოკირწყლვაზე; ასფალტ-ბეტონით გაკეთდეს 1932 წელს 63 ათასი და 1933 წელს—104 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო კუბიკებით 1932 წელს—39 ათასი და 1933 წელს—50 ათასი კვადრატული მეტრი.

2. მოკირწყლული ქუჩების საერთო პროცენტი 1933 წლის დასასრულისათვის აყვანილ იქნეს 70-მდე.

3. დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1933 წლის მაისისა ვოგზლის ხიდის მშენებლობა და აგრეთვე კალაევის აღმართის გაფართოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცენარეულობის გაშენების დარგში.

1. დამთავრებულ იქნეს 1932 წელს მოსამზადებელი მუშაობა კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მშენებლობისათვის ვერაზე დაახლოებით 220 ჰექტარ ფართობზე. პარალელურად უნდა სწარმოებდეს მუშაობა საარაიონო პარკების მოსაწყობად ლენრაიონში (150 ჰექტ.), დიდუბეში (20 ჰექტ.) და ნავთლულში (20 ჰექტ.).

2. დამთავრებულ იქნეს 1933 წელს დიღმის სანერგის მშენებლობა, რათა ქალაქში მცენარეების გაშენების საქმე უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო სანერგე მასალით.

ქალაქის დაგეგმვა.

წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს დააჩქაროს მუშაობა ქალაქის გენერალური გეგმის შესადგენად იმ ვარაუდით, რომ გეოდეზური გადაღება დამთავრებულ იქნეს 1933 წელს, ხოლო დაგეგმვა—1934 წელს.

ახალი და ადგილობრივი საშენი მასალის დამზადების დარგში.

მოეწყოს 1932-33 წელს კომუნალური მეურნეობის სისტემაში შემდეგი დამხმარე საწარმონი ახალი და ადგილობრივი საშენი მასალის დასამზადებლად: 1) პემზა-ქვიშის ქარხანა, რომლის ნაყოფიერებაც უნდა უდრიდეს 20 მილიონ ცალს, 2) გაჯ-გიფსოლიტის წარმოება (80 ათასი კვ. მ.), 3) გაჯის ქარხანა (20 ათასი ფ.), 4) უცემენტო ჭაღების ქარხანა (1 მილიონი ც.), 5) კრამიტის ქარხანა, 6) ფიბროლიტის ქარხანა (15 მილ. ც. პირ. აგური).

კ ა დ რ ე ბ ი.

წინადადება მიეცეს ტფილისის ქალაქის საბჭოს, გააძლიეროს კვალიფიციური მუშებისა და საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების კადრების მომზადება კომუნალური და საბინაო მშენებლობისათვის.

კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმა ერთი თვის ვადაზე უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

საწარმოების ხაზით საექსპლოატაციო-საფინანსო გეგმების შესრულების დარგში.

1. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს, განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საწარმოთა მიერ დამტკიცებული საექსპლოატაციო-საფინანსო გეგმების შესრულება.

2. გატარდეს და საქმით უზრუნველყოფილ იქნეს საცეხო და საბრიგადო სამეურნეო ანგარიში იქ, სადაც იგი ჯერ კიდევ გატარებული არ არის. სამეურნეო ანგარიშის გატარების ძირითად პირობად ჩაითვალოს მისი შედეგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორად დაყენებული აღრიცხვა, თანაც სათანადო წამახალისებელი პრემიები უნდა მიეცეს როგორც ცეხებს და ბრიგადებს მთლიანად, ისე სამეურნეო ანგარიშის ცალკეულ მონაწილეებს.

მასური მუშაობის დარგში.

რადგანაც საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის დასახული გეგმის განხორციელება ქალაქ ტფილისის მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია წინადადებას იძლევა:

1. საქალაქო მშენებლობის ყველა დარგში კონტროლისა, მეთვალყურეობისა და სათანადო საზოგადოებრივი დახმარებისათვის გამოყენებულ უნდა იქნენ დეპუტატთა ჯგუფები, საბჭოების წევრები, პროფკავშირული ორგანიზაციები და სხვ..

2. სისტემატიურად მოეწყოს საქალაქო მეურნეობის ცალკე დარგების საზოგადოებრივი შემოწმება (სანიტარული მდგომარეობა, წყლის მიწოდება, ტრანსპორტი და სხვ.).

3. ფართოდ იქნეს შემოღებული პრაქტიკაში ტფილისის საქალაქო საბჭოს აქტიური წევრების მიმაგრება სხვადასხვა ცალკეულ მშენებლობაზე და უბნებზე.

საერთო საკითხები.

1. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს ბიუჯეტის შედგენა აწარმოოს ისეთი ანგარიშით, რომ იანვრის პირველ რიცხვებში უკვე მზად იყოს საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი.

2. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს გეოლოგიურ-საკვლევო სამმართველოს ორგანოებთან ერთად, ფართოდ გაშალოს საგამოკვლევო მუშაობა ახალი ადგილობრივი საშენი მასალის ძიებისა და ექსპლოატაციისათვის; ამ მასალით უნდა შეიცვალოს დეფიციტური საშენი მასალა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს სათანადო დადგენილებანი, რათა მრეწველობას, ტრანსპორტს და კოოპერაციას დაევალოს, მონაწილეობა მიიღონ ქალაქის კომუნალური მშენებლობის დაფინანსების საქმეში.

4. დაევალოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და ტფილისის საბჭოსთან ერთად, ერთი თვის ვადაზე დაამუშაოს ღონისძიებათა სისტემა კომუნალურ საწარმოთათვის საჭირო მოწყობილობის წარმოების მოსაწყობად და მოსახლეობისათვის კომუნალური მომსახურეობის გასაწევად.

5. აღიძრას შუამდგომლობა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე ტფილისის საქალაქო საბჭოს სათანადო მექანიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ, რისთვისაც საჭიროა 1932 წელს ტფილისის საქალაქო საბჭოს მიეცეს 10 საბარგო მანქანა, 4 ქვის სამტვრევი მანქანა, 5 სატკეპნი მანქანა, 1 ექსკავატორი, წყალსადენის მილები და რელსები ტრამვაის ხაზისათვის.

6. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს მიიღოს გადამწყვეტი ზომები კომუნალური მომსახურეობის გადასახადების ნარჩენის გასანაღდებლად. ამასთან ერთად, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს აიძულოს სახელმწიფო დაწესებულებანი და სამეურნეო ორგანიზაციები თავის დროზე დაფარონ თავიანთი დავალიანება კომუნალური მომსახურეობის დარგში; ფინსახკომმა მკაცრი საფინანსო ზეგავლენის ღონისძიებანი მიიღოს იმ გადამხდელთა მიმართ, რომლებიც კომუნალური მომსახურეობის გადასახადს რეგულარულად არ იხდიან.

7. 1932 წლის გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა განსახორციელებლად და სათანადო თვისობრივი მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად გაიშალოს ნამდვილი ბრძოლა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების გატარებისათვის და შრომის სოციალისტური ფორმების (სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა) მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

8. მე-4 კვარტალის დასაწყისში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნეს ტფილისის საქალაქო საბჭოს მოხსენება 1932 წლის სამი კვარტალის განმავლობაში გეგმის შესრულების შედეგებისა და ამ დადგენილების განხორციელების მსვლელობის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.
ტფილისი.

ფინანსები

152. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

საქართველოს სსრ 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

მოისმინა და განიხილა რა საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის 1932 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2-ე სესია აღნიშნავს:

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის წარმოებული გმირული ბრძოლა გათვალისწინებულ გეგმებზე ბევრად გადაჭარბებულ შედეგებს იძლევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობაში. ამ მშენებლობის საფუძველს შეადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მძიმე მრეწველობის სწრაფი განვითარება და სოფლის მეურნეობაში მომხდარი ძირითადი გარდატეხა, რომლის შედეგად ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი სოციალიზმისაკენ და წვრილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად იქმნება მსხვილი სოციალისტური საწარმოო სასოფლო მეურნეობა.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატება, კოლექტივიზაციის ძლევამოსილი მსვლელობა, კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, განსაზოგადოებული მეურნეობის სწრაფი განვითარება კერძო მეურნეობის ხარჯზე თავის გამოხატულობას ჰპოებს სახალხო შემოსავლის გადიდებაში, რომელიც 1931 წელთან შედარებით 1932 წელს იძლევა ზრდას 31%-ით.

პირველი ხუთწლედის ვადამდე შესრულება და მეორე ხუთწლედით გათვალისწინებული კიდევ უფრო გრანდიოზული მშენებლობანი მოითხოვენ ქვეყნის ფინანსიური ბაზის ყოველმხრივ განმტკიცებას.

დღევანდელ ეტაპზე, როდესაც საქართველოს სსრ-ში მშენებლობა თანდათან უფრო გაძლიერებული ტემპებით იშლება, ამ მშენებლობის საფინანსო ბაზის განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქონლის ბრუნვას და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ შედგენილი სამრეწველო სავაჭრო-საფინანსო გეგმების რეალიზაციას.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პროგრამის თანდათან გადიდებული პოპულარობა მშრომელთა ფართო მასებში ჰქმნის უდიდეს შესაძლებლობას მოსახლეობის რესურსების მობილიზაციისათვის და მისი დროებით თავისუფალი სახსრების გამოყენებისათვის სოციალისტური მშენებლობის საქმეში. მოსახლეობის მიერ სათანადო თანხების ნებაყოფლობით გაღება, კერძოდ სახელმწიფო სესხების ხაზით, დაგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

სესხის წარმატებით რეალიზაციასთან ერთად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ კამპანიას წარმოადგენს 1932 წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარება. საჭიროა მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო გლეხთა ფართო თათბირებზე; ამით თავიდან აცილებულ უნდა იქნეს ის გადახრები, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი.

რადგანაც სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ-ის 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება საქართველოს სახალხო მეურნეობის 1932 წლის დამტკიცებულ საკონტროლო ციფრებს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალთა და გასავალთა ჯამი, რომელიც მიღებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემდეგი სახით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

I. საგადასახადო შემოსავალი:

1) ბამბის გადასახადის ანარიცხი	694,2	ათასი მან.
2) თამბაქოს „ „	2.500,0	„ „
3) კინოს გადასახადი	3.000,0	„ „
4) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი	7.492,0	„ „
5) კულტ. გადასახადი	16.759,0	„ „
აქედან:		
ქალაქად	10.130,0	„ „
სოფლად	6.629,0	„ „
6) განსაზოგადოებული სექტორი საშემოსავლო გადასახადი	1.090,7	„ „
ს უ ლ	31.535,9	ათასი მან.

II. არასაგადასახადო შემოსავალი:

1. საქ. სმუსის მრეწველ. მოგების ანარიცხები	7.655,0	ათასი მან.
2. იგივე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთაგან	303,3	„ „
3. იგივე მომარაგების სახკომატის მრეწველობიდან	698,5	„ „
4. იგივე ვაჭრობიდან	3.167,8	„ „
5. საქ. ფინანსთა სახკომატის სამეურნეო ორგანოები	156,0	„ „
6. სხვადასხვა შემოსავალი	476,0	„ „
7. საადმ.-სამეურნ. ხარჯების შემცირება	1.000,0	„ „
ს უ ლ	13.456,3	ათასი მან.

III. სახელმწიფო სესხები:

ანარიცხები	12.793,4	ათასი მან.
სულ შემოსავალი	57.785,6	ათასი მან.

გ ა ს ა ვ ა ლ ი

I. სახალხო მეურნეობა:

1. ყოფ. სმუსის მრეწველობა	16.289,0	ათასი მან.
2. ელექტროფიკაცია	310,0	„ „
3. სოფლის მეურნეობა	10.449,5	„ „
4. ტრანსპორტი	2.346,3	„ „
ს უ ლ	29.394,8	ათასი მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სოც.-კულტ. ღონისძიებანი:

1. განათლება	20.044,0	ათასი მან.
2. ჯანმრთელობა	8.868,0	„ „
3. სოც.-კულტ.	1.167,1	„ „
სულ.	30.079,1	ათასი მან.

III. მმართველობა:

1. საერთო მმართველობა	776,1	ათასი მან.
2. სასამართლო და შრ.-გასწ. დაწესებ.	924,1	„ „
3. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა	5.675,6	„ „
4. სოც.-კულტ. ღონისძიებ. ადმ.	286,6	„ „
5. ფონდები	409,0	„ „
6. სოც. დაზღვ. ანარიცხები.	1.435,0	„ „
სულ	68.981,6	ათასი მან.

ანარიცხით ადგილობრივი ბიუჯეტისათვის, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით ტარდება, დამტკიცებულ იქნეს 40.093,0 ათასი მან. რაოდენობით:

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავლის ხარჯზე.	7.499,9	ათასი მან.
2. სახელმწიფო სესხების შემოსავლის ხარჯზე	8.672,2	„ „
3. კულტ. გამოსაღების შემოსავლის ხარჯზე (ქალაქი).	1.800,0	„ „
4. იგივე სოფლად.	6.629,0	„ „
5. თამბაქოს ანარიცხებიდან.	2.500,0	„ „
6. გადასახადის ბრუნვაზე	12.999,9	„ „

შექმნილი დეფიციტი (ხარჯები—109.074,6 ათასი მან., საკუთარი შემოსავალი—57.785,6 ათასი მან.) 51.289,0 ათასი მან. რაოდენობით დაფარულ იქნეს სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ბრუნვის გადასახადის ხარჯზე.

2. წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატს, რომ სამეურნეო ანგარიშის განუხრელად გატარებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საფუძველზე, სავსებით შეასრულოს დაგროვების პროგრამა, ამასთან უკლებლივ გაამართლოს თავისი ვალდებულება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის წინაშე (მოგების ანარიცხი, ბრუნვის გადასახადი და სხვა).

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მომარაგების სახალხო კომისარიატს, ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის მთავრობებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, გააძლიერონ ხელმძღვანელობა სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის სასწრაფოდ გაშლისათვის და ამასთანავე მხედველობაში იქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიონ, რომ საბჭოთა ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ქალაქის პროლეტარიატისა და კოლმეურნეო გლეხობის თანდათან გადიდებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ისე საფინანსო თვალსაზრისითაც (საქართველოს სსრ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 48%-ს შეადგენს სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ბრუნვის გადასახადი).

4. იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკები უფრო დაინტერესებული იყვნენ ბრუნვის გადასახადის შესრულებით, რომ განმტკიცდეს მათი საბიუჯეტო-საფინანსო დამოუკიდებლობა და თავიდან აცილებულ იქნეს ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტების დეფიციტიანობა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია ავალებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უახლოეს ხანში განსაზღვროს, ბრუნვის გადასახადის მოსალოდნელი შემოსავლის დაზუსტებული ცნობების საფუძველზე, საერთო საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი სამეურნეო ორგანოების ბრუნვის გადასახადის ანარიცხების მტკიცე რაოდენობა აფხაზეთის ავტ. სსრ-ის, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ბეუჯეტებისათვის.

ამასთან ერთად წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაამუშაოს საკითხი ბრუნვის გადასახადის პროცენტული ანარიცხის დაწესების შესახებ საქართველოს დეფიციტიანი რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის.

5. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანების შეუფერხებელი დაფინანსება და კიდევ უფრო განმტკიცდეს სასტიკი ეკონომია სახელმწიფო სახსრების ხარჯვის საქმეში, დაწესებულ იქნეს მუდმივი კონტროლი, რომ ამ სახსრების ხარჯვა სავსებით შეესაბამებოდეს აღნიშნულ მიზნებს.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას და მათ ადგილობრივ ორგანოებს მოაწყონ ყოველმხრივი კონტროლი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით გაღებული სახსრის სისწორით გამოყენებისათვის, ამასთან განახორციელონ ეკონომიის მტკიცე რეჟიმი და სავსებით დაიცვან საფინანსო-საბიუჯეტო და საკრედიტო დისციპლინა.

6. რადგან საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად შემცირდება როგორც რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტით ნავარაუდევი შემოსავალი და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით რაიაღმასკომებისა და საქალაქო საბჭოებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო დოტაცია 1932 წელს სრულიად არ უზრუნველჰყოფს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლისა და გასავლის თანაბრობას, დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) უახლოეს ხანში განსაზღვროს 1932 წლის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გასავლის ფაქტიური გადამეტება შემოსავალზე;

ბ) საქართველოს სსრ 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი ნახევარი წლისათვის შესრულების შედეგების საფუძველზე გამოარკვიოს 1932 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პერსპექტივები და სახელმწიფო შემოსავალთა გეგმის არა სავსებით შესრულება, რის შედეგად აღძრას შუამდგომლობა ა/კ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გაძლიერებულ იქნეს ბრუნვის გადასახადის ანარიცხის რაოდენობა სათანადო თანხით საქართველოს სსრ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის.

7. რადგანაც საგადასახადო რეფორმის გამო ქ. ბათომს, ფოთს და ჭიათურას აღარ აქვთ სატონო გამოსაღები და რადგანაც ამ ქალაქების საკუთარი შემოსავალი და ბრუნვის გადასახადის დაწესებული ანარიცხი ვერ უზრუნველჰყოფს აღნიშნული ქალაქების თანდათან გადიდებულ სოციალურ-კულტურულ და სამეურნეო მოთხოვნილებებს, დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ აღდგენილ იქნეს გაუქმებული სატონო გამოსაღები ქალაქ ბათომის, ფოთის და ჭიათურის ბიუჯეტების სასარგებლოდ რკინის გზით და წყალსავალი გზით შემოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 167 №-ში 1932 წ. ივლისის 20.

---

153. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

1932 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VI მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიამ, მოისმინა რა საქართველოს სსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, აღნიშნავს შემდეგს:

სოციალისტური ინდუსტრიის სწრაფი ზრდა ახალ ამოცანებთან შეფარდებით მტკიცე საფუძველს უყრის სოფლად სოციალისტური მეურნეობის განვითარების საქმეს, უზრუნველჰყოფს კოლექტივიზაციის გზაზე დამდგარ სოფლის საწარმოო ძალთა გაშლას, რის შედეგად შეუჩერებლივ სწარმოებს მშრომელი მასების მატერიალური დონის ამაღლება. სოფლის მეურნეობაში შეიჭრა გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები, რამაც მუშაობის ჩამორჩენილი მეთოდები შესცვალა სოციალისტურ აღმშენებლობასთან შეფარდებული ახალი მეთოდებით.

ხუთწლედის მე-4 დამამთავრებელ წელს, მშენებლობის უდიდესი გაქანების დროს, მშრომელი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობა და ამით საკოლმეურნეო სოფლის სოციალისტური გარდაქმნა გადამწყვეტ მნიშვნელობას ღებულობს.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომი განვითარება ქვეყნის საწარმოო ძალთა შეუწყვეტელი ზრდა და სოფლის და ქალაქის მშრომელთა პირობების გაუმჯობესება მოითხოვს თვით მშრომელი მასების ძალთა ამოძრავებას და ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შესრულებისათვის დაგროვების ყველა წყაროს გამოყენებას.

მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა სოფლად ბატარების საქმეში 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ხელისუფლების და პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს კოლმეურნეობების პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და სამეურნეო განმტკიცების საქმეში, ხელს უწყობს კოლექტივიზაციის შემდგომ ზრდას, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, მოსავლიანობის გადიდებას, მესაქონლეობის და ტექნიკურ კულტურათა პრობლემების გადაჭრას, დამზადებათა გეგმების დროულად სავსებით შესრულებას, საქონლის ბრუნვის დაჩქარებას ქალაქებსა და სოფელს შორის და ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას კოლმეურნეობების და ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობების მიერ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია იწონებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას 1932 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და მის მიერ საკავშირო კანონმდებლობის საფუძველზე შეტანილ დაზუსტებას კოლმეურნეობათა მინიმალურად დაბეგვრის, ტექნიკური კულტურებისათვის დამატებითი შეღავათების დაწესების (განთავისუფლება ჩაის, არახასის, ბამბის და სხვ.), მეცხვარეობის შეღავათიანად დაბეგვრის დარგში (ნამატის განთავისუფლება და დანარჩენის განახევრებული ნორმების მიხედვით დაბეგვრა) და სხვ. სცნობს სწორად და საქართველოს სინამდვილესთან შეფარდებულად.

სესია საგანგებოდ აღნიშნავს საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ გამოცემულ ახალ დადგენილებებს, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობათა განმტკიცებას და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ განვითარებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია განსაკუთრებით იწონებს ზემო-სვანეთის და ხევსურეთის მშრომელი მოსახლეობის დაბეგვრისაგან განთავისუფლებას.

აძლევს რა უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას იმ ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც სავსებით დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის სწორად და უკლებლივ შესრულებაზე, სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს:

ა) დაუყოვნებლივ დაამუშაონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული ახალი კანონი სარაიონო აღმასკომების და ქალაქის საბჭოების პლენუმებზე, სოფლის საბჭოების გაფართოებულ სხდომებზე, კოლმეურნეობების და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასურ კრებებზე, დაწვრილებით გააშუქონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მტკიცე კლასობრივი ხასიათი და გააცნონ ყველა კოლმეურნე და ინდივიდუალური მშრომელი გლეხობა იმ შეღავათებს, რომლებსაც ანიჭებს მათ ახალი კანონი;

ბ) უზრუნველყონ კამპანიის ჩატარებაში ადგილობრივ საბჭოთა და კომკავშირის, პროფესიონალური და საკოლმეურნეო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა; მოაწყონ კომკავშირის, პროფკავშირის და კოლმეურნეობის აქტივიდან ბრიგადები სოფლის მშრომელთა ფართო მასებში ახალი კანონის პოპულარიზაციისათვის, რომელთაც ამავე დროს დახმარება უნდა გაუწიონ რაიფინგანებს და საბჭოებს მოსახლეობის შემოსავლის წყაროების აღრიცხვისა და კულაკების გამომჟღავნების საქმეში;

გ) მოახდინონ პასუხისმგებელი მუშაკების მობილიზაცია, შიამაგრონ ისინი სოფლის საბჭოებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მცირეძალოვან კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელთა სიის შედგენისა და კულაკურ მეურნეობათა და მათი შემოსავლის გამომჟღავნებასთან დაკავშირებული მუშაობის ხელმძღვანელობისათვის;

დ) იქონიონ განუწყვეტელი მეთვალყურეობა და აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტების ამა თუ იმ გზით კულაკურ მეურნეობათა დაბეგვრის შემცირების ცდების წინააღმდეგ და „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ, რაც მიმართული იქნება ინდივიდუალური წესით საშუალო გლეხობის მეურნეობათა დაბეგვრისაკენ;

ე) უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიების შემადგენლობა კოლმეურნეების, მოჯამაგირეების, ღარიბების, ერთპიროვნულ მშრომელთა აქტივის და ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

2. 1932 წელს სასოოლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების დროს ფართოდ გამოყენებულ იქნეს მუშაობის სოციალისტური მეთოდები და ფორმები. როგორიცაა დამკვრელობა და სოცშეჯიბრი, საზოგადოებრივი ბუქსირი და მასური მუშაობის სხვა ფორმები.

3. უზრუნველყოფილ იქნეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობებისათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათების სავსებით განხორციელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მტკიცედ იქნეს დაცული კლასობრივი ხაზი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს. უზრუნველყოფილ იქნეს ღარიბი კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნულ მეურნეობების გადასახადისაგან სრული განთავისუფლება.

5. არ იქნეს დაშვებული კოლმეურნეობების და კოლმეურნეების მიერ თავიანთი ნაწარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე გაყიდვისაგან შემოსავლის დაბეგვრა.

6. კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირებმა უზრუნველყონ რაიაღმასკომები სათანადო ცნობებით იმ კოლმეურნეობების შესახებ, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს დავალებანი და მოაწესრიგეს ანგარიშწარმოება და ანგარიშგება, რათა სისწორით იქნეს გამოყენებული გადასახადიდან 25%-იანი მონაკლები საუკეთესო ბრიგადების და დამკვრელი კოლმეურნეების დასაჯილდოებლად.

7. რაიონულ აღმასკომებმა ყოველ დეკადაში მოისმინონ საფინანსო განყოფილების და სხვა ორგანიზაციების მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ.

8. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეიმუშაოს დაჯილდოების წესები და პირობები იმ რაიონების დასაჯილდოებლად, რომლებიც საუკეთესოდ ჩაატარებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიას და უზრუნველჰყოფენ ყველა იმ ამოცანების სავსებით შესრულებას, რომლებიც 1932 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონით არის გათვალისწინებული.

9. დაევალოს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თვეში ერთხელ მოისმინოს ფინსახკომის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

10. დაევალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს თავის დროზე შეამოწმოს რაიაღმასკომების, ქალაქისა და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელობა და მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარებაში—რაიონებთან ცოცხალი კავშირის დამყარებით.

11. დაევალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასვას საკითხი სათანადო ზემდგომ ორგანოებში ბოსტნის ნათესებისათვის გასული წლის საშემოსავლო ნორმების უცვლელად დატოვების შესახებ.

12. წინადადება მიეცეს პერიოდულ გამოცემათა რედაქციებს, სისტემატიურად გააშუქონ რესპუბლიკანურ და რაიონულ პრესაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ყველა საკითხები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია მოითხოვს ყველა ორგანიზაციისაგან, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საგადასახადო კამპანიაში, უზრუნველყოს კამპანიის წარმატებით ჩატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, რადა სასოფ.-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემულმა ახალმა კანონმა სავსებით შეასრულოს თავისი როლი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში და ხელი შეუწყოს ძლევამოსილ სოციალისტურ აღმშენებლობას, როგორც კერძოდ საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 166 №-ში 1932 წ. ივლისის 18.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

154. დადგენილება ც.ა.კ.

(მე-VI მოწვევის მე-2 სესიისა)

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 17-ის დადგენილებით მიღებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. ივნისის 17.

ტფილისი.

მთავლიტი № 1864. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვ.1095. ტირაჟი 1.300

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა ი ბ ე ჭ დ ა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

ცვლილებითა 1931 წ. დეკემბრის 1-მდე

საქართველოს სსრ სახლხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

ფასი 1 მანეთი.

იყიდება ქ. ტფილისში, საქ. სახელგამის მაღაზიებში.